საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი, 2012 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის პროგრამული დაფინანსების მინიჭების განხილვის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე" პუნქტის, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ მ. ჯორბენაძის და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის ლ. ჭელიძის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2012-2013 სასწავლო წელს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის პროგრამული დაფინანსებისათვის გამოიყოს შემდეგი ადგილები:

ა) სახვითი, სასცენო დაკინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი - 4 ადგილი.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
ტექსტილის დიზაინი - 1 ადგილი;
მხატვრული ტელეფილმის რეჟისურა - 1 ადგილი;
თოჯინების თეატრის რეჟისურა - 1 ადგილი;
დრამის რეჟისურა - 1 ადგილი.

ბ) მუსიკის ფაკულტეტი - 3 ადგილი.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
აკადემიური სიმღერა - 2 ადგილი;
ფორტეპიანო - 1 ადგილი,

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია